საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-10/65

ქ. ბათუმი 30 ივნისი, 2020 წ.

,, ბსუ-ს შიდა აუდიტის 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ " ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 25 დეკემბრის №01-10/144 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 09 ივლისის N07-01/17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულებისა'' და ბსუ-ს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის ზურაბ დარჩიძის 2020 წლის 23 ივნისის MES 6 20 0000504785 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს შიდა აუდიტის 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 25 დეკემბრის №01-10/144 ბრძანების დანართი 1-ში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 1).
2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ა. მითაიშვილი

„ბსუ-ს შიდა აუდიტის 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 30 ივნისის N 01-10/65 ბრძანების

დანართი 1

№	შესასრულებელი საქმიანობის (დავალების) დასახელება	შესრულების თარიღი (პერიოდი)
1	2019 წლის საანგარიშო პერიოდზე (საბიუჯეტო ასიგნებების, საკასო და ფაქტიური ხარჯების შესრულებაზე ანალიზი) ჩატარებული ფინანსური შიდა აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილ ფაქტებსა და გარემოებებზე შედგენილი შიდა აუდიტის სამსახურის წლიური ანგარიშის წარდგენა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, რექტორთან და წარმომადგენლობით საბჭოზე.	2020 წლის I-კვარტალი
2	აუდიტორული შეფასება თუ რამდენად შეესაბამება განხორციელებული ფინანსური ოპერაციები საქართველოს კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ წესებთან და შიდა პოლიტიკასთან.	2020 წლის მთელ პერიოდში
3	ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიური კლინიკის „ბსუ დენტი“-ს დამტკიცებული დებულების მიხედვით საქმიანობის წარმართვის საჭიროებისათვის გაცემული სახარჯი მასალების მიზნობრიობის, მიზანშეწონილობის, ეკონომიურობისა და მათი ხარჯებში ჩამოწერის კანონთან შესაბამისობაზე ეფექტიანობის აუდიტის ჩატარება-(შესწავლა).	2020 წლის ივნისი
4	უნივერსიტეტის მიერ დასახულ მიზნებსა და საქმიანობის წარმართვასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების გამოვლენა-დადგენა (მოსალოდნელი შეცდომების, გადაცდომების, შეუთავსებლობის ალბათობის განსაზღვრა და არსებული რისკის მიმართ მიდრეკილების შეფასება).	2020 წლის მთელ პერიოდში
5	ბსუ-ს სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის „ბსუ ფაბლაბი“-ის საჭიროებისათვის გაცემული სახარჯი მასალების მიზნობრიობის, მიზანშეწონილობის, ეკონომიურობისა და მათი ხარჯებში ჩამოწერის კანონთან	2020 წლის ივნისი-ივლისი

	შესაბამისობაზე ეფექტიანობის აუდიტის ჩატარება-(შესწავლა).	
6	შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წლის წლიური ანგარიშით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესწავლა	2020 წლის ივლისი-აგვისტო
7	ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის-**ფიტოპათალოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის** საჭიროებისათვის გაცემული სახარჯი მასალების მიზნობრიობის, მიზანშეწონილობის, ეკონომიურობისა და მათი ხარჯებში ჩამოწერის კანონთან შესაბამისობაზე ეფექტიანობის აუდიტის ჩატარება-(შესწავლა).	2020 წლის სექტემბერი-ოქტომბერი
8	მატერიალური ფასეულობების და ქონებრივი ღირებულებების ხარჯვის, გამოყენების, მართვისა და დაცვის კანონიერების, მიზნობრიობის, მიზანშეწონილობის, ეკონომიურობისა და შედეგობრიობის ანალიზი.	2020 წლის მთელ პერიოდში
9	2020 წლის 6-თვის საბიუჯეტო ასიგნებების საკასო და ფაქტიური ხარჯების შესრულების შიდა აუდიტორული ანალიზი.	2020 წლის ივლისი
10	აუდიტორული შეფასება თუ რამდენად შეესაბამება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ წესებთან და შიდა პოლიტიკასთან.	2020 წლის ოქტომბერი
11	ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის-**აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის** საჭიროებისათვის გაცემული სახარჯი მასალების მიზნობრიობის, მიზანშეწონილობის, ეკონომიურობისა და მათი ხარჯებში ჩამოწერის კანონიერებაზე ეფექტიანობის აუდიტის ჩატარება-(შესწავლა).	2020 წლის სექტემბერი
12	განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმება-შეფასება.	2020 წლის მთელ პერიოდში
13	განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე შესაბამისობის, ეფექტიანობის, ფინანსური და სისტემური აუდიტის განხორციელება	2020 წლის მთელ პერიოდში
14	აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის (ლექცია-სემინარები, პრაქტიკული და ლაბორატორიული და სხვა) განსაზღვრული საათების	2020 წლის მთელ პერიოდში

	მიხედვით შესრულების მორიტორინგის განხორციელება (რექტორის ბრძანების, საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო გეგმის, დამტკიცებული სასწავლო ცხრილების ან/და სახვა აქტების გათვალისწინებით).	
15	უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი სამუშაო განრიგის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალის სამუშაოზე გამოცხადებისა და სამუშაო ადგილიდან გასვლის მონიტორინგის განხორციელება	2020 წლის მთელ პერიოდში
16	სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევის კანონთან შესაბამისობის მდგომარეობა	2020 წლის IV-კვარტალი
17	მიმდინარე სამუშაო პროცესში წამოჭრილ საკითხებზე შიდა აუდიტის ინსპექტირების შესახებ ზოგადი დებულების მოთხოვნილების დაცვითა და გათვალისწინებით რეკომენდაციებისა და მოსაზრებების გაცემა.	2020 წლის მთელ პერიოდში
18	საგრანტო პროექტებით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე წარმოდგენილი ანგარიშების კანონიერებისა და გამჭვირვალობაზე შესაბამისობის აუდიტის ჩატარება	2020 წლის IV-კვარტალი
19	შუალედური შიდა აუდიტორული ანგარიშების წარდგენა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან	2020 წლის მთელ პერიოდში
20	შიდა აუდიტის სამსახურის 2021 წლის სამუშაო გეგმის მომზადება და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის დასამტკიცებლად წარდგენა	2020 წლის დეკემბერი